საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გალავანი

გალავანი

1. ძვ. ქალაქის, ციხის, არქიტექტურული კომპლექსის (სასახლის, მონასტრის და ა. შ.) ირგვლივ შემოვლებული ქვის ან აგურის კედელი, რ-საც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. გ-ის სისტემაში, უმეტეს შემთხვევაში, ჩართულია სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო ელემენტები – საბრძოლო კოშკები, ქონგურები, სალოდეები (დუროები), ბურჯები და შესასვლელი კარიბჭეები. ქალაქის გალავანში კარიბჭეები ჩვეულებრივ იმ ადგილებში ეწყობოდა, სადაც მას საქარავნო თუ სხვა სახის გზები ადგებოდა. მაგალითად – თბილისის გ-ში იყო განჯის კარი, კოჯრის კარი, დიღმის კარი, მიმართული შესაბამის დასახლ. პუნქტებში მიმავალი გზებისკენ.

2. სათავდაცვო ნაგებობის ტიპი XVIII ს. ქართლ-კახეთში. ჩვეულებრივ, გეგმით კვადრ. ან სწორკუთხა კედელშემოვლებული ეზო, რ-საც ჰქონდა ფართო ჭიშკარი და კოშკები (სხვა ნაგებობებიდან ზოგ გ-ში გვხვდება აგრეთვე მცირე ეკლესია). გ-ის ფუნქცია სავსებით გარკვეულია – მტრის შემოსევის დროს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის შეხიზვნა სარჩო-საბადებლიანად, უპირველეს ყოვლისა, საქონლიანად. ჩვეულებრივ შენდებოდა ვაკე ადგილას, სადაც მჭიდრო მოსახლეობა იყო. გ-ის დანიშნულებას ასრულებდა ცალკეული ეკლესიების (მაგ., სვეტიცხოვლის) ზღუდეებიც. დას. საქართველოში არ შემუშავებულა გ-ის სპეციფ. ტიპი, რ-საც ქართლსა და კახეთში ვხვდებით, თუმცა მოსახლეობის გასახიზნავად კოშკებს, ციხეებსა და ეკლესია-მონასტრების ზღუდეებს, უეჭველია, აქაც იყენებდნენ.

ვ. ბერიძე